სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
კონკურსის წესით "დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ რომკასა და არხოტის თემის სოფლების ახიელი-ჭიმღა-ამღას დამაკავშირებელი გზის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების(CPV 71320000) სახელმწიფო შესყიდვის
საკონკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი N1

ქ. თბილისი „02" ივნისი 2014 წ.

გიორგი სომხიშვილი - კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი.
ილია დარჩიაშვილი - კომისიის თამვჯდომარის მოადგილე, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;
თორნიკე თორაძე - კომისიის წევრი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე;
ოთარ ჩიკვაიძე - კომისიის წევრი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დასავლეთ საქართველოს პროექტების მონიტორინგის სამსახურის უფროსი;
პაატა იაკობაშვილი - კომისიის წევრი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების შეფასების სამსახურის უფროსი;
ნუცა დათუაშვილი - კომისიის წევრი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროგრამების კოორდინაციის სამსახურის უფროსი;
ირაკლი ფარესიშვილი -კომისიის მდივანი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შესყიდვების სამსახურის უფროსი;
გიორგი ბულეიშვილი - კომისიის აპარატის წევრი - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი.
სხდომას არ ესწრებოდა: -კომისიის წევრი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმოსავლეთ საქართველოს პროექტების მონიტორინგის სამსახურის უფროსი - ბ-ნი ივანე ჯავახიშვილი

დღის წესრიგი:
1. "დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ რომკასა და არხოტის თემის სოფლების ახიელი-ჭიმღა-ამღას დამაკავშირებელი გზის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (CPV 71320000) სახელმწიფო შესყიდვის საშუალების განხილვა.
2. საკონკურსო განცხადების ტექსტისა და დოკუმენტაციის დამტკიცება.

მოისმინეს: სატენდერო კომისიის აპარატის წევრის - გიორგი ბულეიშვილის ინფორმაცია, სსიპ საქართველოს მუნიციპალური ფონდის 2014 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის თანახმად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გათვალისწინებულია "დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ რომკასა და არხოტის თემის სოფლების ახიელი-ჭიმღა-ამღას დამაკავშირებელი გზის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (CPV 71320000) სახელმწიფო შესყიდვა, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება 200 000 ლარს და არ არსებობს შესყიდვის სხვა საშუალებით განხორციელების საფუძველი (გამონაკლისის დამადასტურებელი დოკუმენტი და გარემოება), სახელმწიფო შესყიდვა უნდა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ასევე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^2 პუნქტის პირველი პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილების საფუძველზე საპროექტო მომსახურების შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს კონკურსის საშუალებით.

დაადგინეს:
"დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ რომკასა და არხოტის თემის სოფლების ახიელი-ჭიმღა-ამღას დამაკავშირებელი გზის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (CPV 71320000) სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდეს კონკურსის საშუალებით.

საკითხი II

მოისმინეს: სატენდერო კომისიის აპარატის წევრის გიორგი ბულეიშვილის ინფორმაცია - ხელახალი საკონკურსო განცხადების ტექსტისა და დოკუმენტაციის შესახებ, რომელმაც კომისიას წარუდგინა "დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ რომკასა და არხოტის თემის სოფლების ახიელი-ჭიმღა-ამღას დამაკავშირებელი გზის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (CPV 71320000) - სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო განცხადების ტექსტი და დოკუმენტაციის პროექტი.

განიხილეს: "დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ როშკასა და არხოტის თემის სოფლების ახიელი-ჭიმღა-ამღას დამაკავშირებელი გზის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (CPV 71320000) - სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო განცხადების ტექსტისა და დოკუმენტაციის პროექტი.

დაადგინეს:

1. "დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ როშკასა და არხოტის თემის სოფლების ახიელი-ჭიმღა-ამღას დამაკავშირებელი გზის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (CPV 71320000) -სახელმწიფო შესყიდვის მიზნით დამტკიცდეს საკონკურსო განცხადების ტექსტი და დოკუმენტაცია შემდეგი ჩამონათვალის მიხედვით:

ა) საკონკურსო განცხადება;

ბ) დანართი N1- აფიდავიტის ფორმა;

გ)დანართი N2 - ტექნიკური დავალება;

დ)დანართი N3 - ინფორმაცია მომსახურების გასაწევად საჭირო მოწყობილობა-დანადგარების და აპარატურის შესახებ;

ე)დანართი N4 - ინფორმაცია ძირითად სპეციალისტთა შესახებ;

ვ)დანართი N6- ინფორმაცია რეკვიზიტების შესახებ;

ზ)დანართი N7- საკონკურსო წინადადების ფასი;

თ)დანართი N8- ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ფორმა;

ი)სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი;

3. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების ტექსტისა და დოკუმენტაციის გამოცხადების შესახებ ოფიციალური მოთხოვნის წარდგენა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში.

კომისიის თავმჯდომარე	**/ გიორგი სომხიშვილი /**
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	**/ ილია დარჩიაშვილი /**
კომისიის წევრი	**/ თორნიკე თორაძე /**
კომისიის წევრი	**/ ოთარ ჩიკვაიძე /**
კომისიის წევრი	**/ პაატა იაკობაშვილი /**
კომისიის წევრი	**/ ნუცა დათუაშვილი /**
კომისიის მდივანი	**/ ირაკლი ფარესიშვილი /**